

შპს „ტაო-2011“-ის დაჯარიმების შესახებ

შ.პ.ს „ტაო-2011“-ის დირექტორის 07.08.2014წ, №01-5626 მომართვის საფუძველზე, კორექტირებული პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით სანებართვო პირობების კონტროლის მიზნით, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტებმა მოვახდინეთ გუგუნავას ქუჩის №18-ში მდებარე, შ.პ.ს „ტაო 2011“-ის კუთვნილი, მშენებარე რესტორნისა და საწესჩვეულებო დარბაზის გადამოწმება, რის შედეგადაც დაფიქსირდა სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ:

შენობის გაბარიტული ზომა „ა-მ“ ფასადზე ნაცვლად 59,6 მეტრისა დავაფიქსირეთ 60,6 მეტრი, „4-5“-ი ღერძებში არსებული გაბარიტი გადმოწეულია სამხრეთისკენ 2,8 მეტრით, პირველი სართულის „კ-ი“ კოლონების ღერძებს შორის მანძილი ნაცვლად 5,90 მეტრისა სახეზეა 5,75 მეტრი.

აღნიშნულით დარღვეულია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რაც ითვალისწინებს დამრღვევის დაჯარიმებას 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შპს „ტაო-2011“ ქ.ქუთაისი გუგუნავას ქუჩის №18-ში, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაჯარიმდეს 1000 /ათასი/ ლარით.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ დაჯარიმება დამრღვევს არ ათავისუფლებს დარღვევის გამოსწორებისაგან, ასევე, დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, მიღებულ იქნება გადაწყვეტილება საურავის დაკისრების შესახებ.

3. ჯარიმა ჩაირიცხოს: მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო ქუთაისი, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა, მიმღები ბანკის კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი 300183263, შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში სამართალდარღვევებიდან.

4. სამართალდამრღვევმა ჯარიმის თანხა უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ჩაბარებიდან 30 დღეში.

5. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალე პირადად.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან 15 დღის განმავლობაში.

7. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის  
მოვალეობის შემსრულებელი

ნ.მიქიაშვილი